ხელშეკრულება № 10

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

დ. სტეფანწმინდა

24 აპრილი 2017 წელი

ერთის მხრივ ყაზბეგის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის ქეთევან ალიბეგაშვილის (შემდგომში „შემსყიდველი") სახით და მეორეს მხრივ ფ.პ. ნიკოლოზ ჩოფიკაშვილი პ.ნ. 44001003353 (შემდგომდგომში „მიმწოდებელი") „სახელმწიფოს შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: სარემონტო მომსახურებაCPV 45300000.
2. „შემსყიდველი" უკვეთავს მომსახურებას საჭიროებისათვის, ხოლო „მიმწოდებელი" ასრულებს დაკვეთილ სამუშაოს.

2. შესყიდვის ობიექტის ღირებულება, ანგარიშსწორების ფორმა და წესი

2.1.შესყიდვის ობიექტის-მომსახურების ღირებულებ შეადგენს 150 (ას ორმოცდაათი) ლარს.

2.2. ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

2.3. ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას მოახდენს „შემსყიდველი"

3. შესრულებული სამუშაოს ხარისხი, გარანტია და მიწოდების ვადები

„მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას, რომ შესრულებული სამუშაოს ხარისხი (გაწეული მომსახურება) უპასუხებს ხელშეკრულების პირობებსა და დააკმაყოფილებს „შემსყიდველის" მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 თვის ვადაში.

4. ფორს–მაჟორი

4.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან დაკისრებული მოვალეობათა ნაწილობრივ ან სრულად შეუსრულებლობისათვის, დაუძლეველი ძალის ზემოქმედებთ გამოწვეული გარემოებების შემთხვევაში.

4.2. ფორს მაჟორული გარემოებების შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს ამის შესახებ.

4.3. მხარე არ თავისუფლდება პასუხისმგებლობიდან, თუ კი ფორს მაჟორული გარემოების დადგომა გამოწვეულია მისი ბრალით, ან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება შესაძლებელი იყო ასეთ გარემოებათა დადგომამდეც გონივრულ ვადებში.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. მხარეები პასუხს აგებენ წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5.2. სადავო საკითხები მხარეთა შორის წყდება მოლაპარეკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს სასამართლო.

6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

6.1. ხელშეკრულება იდება 2017 წლის 24 აპრილიდან 2017 წლის 31 მაისამდე.

6.2. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.

6.3. ხელშეკრულება შეიძლება დაირღვეს ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე.

7. სხვა პირობები

7.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლიარად (ერთი ეგზემპლიარი-„შემსყიდველს" ერთი „მიმწოდებელს").

7.2. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

8. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
ყაზბეგის საგანმანათლებლო რესურსცენტრი	ფ.პ. ნიკოლოზ ჩოფიკაშვილი
ს/კ 241494450	პ.ნ 44001003353
ყაზბეგი, დ.სტეფანწმინდა ალ.ყაზბეგის №52	ბანკი: LBRTGE22
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა	ა/ა GE76LB0711145080665001
TRESGE22 ბ/კ 220101222	